# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 146 შაბათი, 4 ივლისი 1909 წ. № 146

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


**ეკატერინე დავითის ასული ლორთქიფანიძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 9 დღის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

**ვლადიმერ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი წირვის შემდეგ $11^1/_2$ საათზე. (რ. 2—1)

გარდაიცვალა

**დიმიტრი იოსავა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი და შვილი**. გამოსვენება ახალ-სენაკში კვირას, 5 ივლისს, დილის 10 საათზე. (1—ფ.—1)

ს. ტინისხიდში მცხოვრებნი თავადნი **კონსტანტინე ასლანის ძე, გრიგოლ, სიმონ, ალექსანდრე და დავით დიმიტრის ძენი წერეთლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძმის, ხოლო დანარჩენნი—მშობელ მამის პოლკოვნიკ

**თავ. დიმიტრი ასლანის ძის წერეთლისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, ხუთ მკათათვეს, ს. ტინისხიდში, საიდანაც მიცვალებული გამოსვენებული იქნება ქ. გორის ოქონის ეკლესიაში, ხოლო იქიდან ქრისტიანულის წესის აგების შემდეგ დაკრძალული იქნება გორის სამების ეკლესიის გალავანში. პანაშვიდები ყოველ საღამოთი შვიდ საათზე. (1—2)

**კონსტანტინე დიმიტრის ძე ნასიძე** ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მის მეუღლის

**ოლღა დავითის ასულის ნასიძის**

სულის მოსახსენებლად. (1—ნ.—1)


**5 ივლისს 1909 წელს გაიხსნება**

ელექტრო-ბიოგრაფი

**მ უ ზ ა**

მიხეილის პროსპ. N 163, ბაქოს ქუჩის კუთხე, ობსერვატორიის პირდაპირ.

**გახსნის დღიდანვე შესანიშნავი**

**პ რ ო გ რ ა მ მ ა:**

1. **იუდითი და ოლოფერნი**— ბიბლიური სურათი ებრაელთა ცხოვრებიდან (ხანუკა).
2. **სამოთხე დედა-მიწაზე.**
3. **ზღვის ტალღები.**
4. **სიყვარულის მსხვერპლი.**
5. **ჯვრის-წერიდან სამარეში.**
6. **გაჯიუტებული უცოლო კაცი.**
7. **აფიშების გამკვრელის თავზარი.**
8. **ყვავილების დღესასწაული.**

**პროგრამის გარეშე:**

**დახვედრა მისს უწმინდესობის სრულიად სომეხთა კათალიკოსის მათეოს მეორე იზმირლიანისა.**

ელექტრო-ბიოგრაფ „მუზას"-თან მოწყობილია მშვენიერი ამწვანებული ბაღი.

**ბაღში სურათებს აჩვენებენ აგრეთვე ჰაერზე, ცის ქვეშ, საუცხოვო, ვერანდაზე.**

ბაღში დაუკრავს საკუთარი სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი ი. ი. პალცევის გამგეობით. (1—გაჟ.—4)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თოროზოვისა**

(ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—1)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—185)

**ექიმი ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში,**

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლავსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—2)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში**

1 ივლისიდაა ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—8)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. პიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—117)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 103)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—100)

**იყიდება**

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დააკლდება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.** (50—6.—10)


**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—10)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—2)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ტფილისი, 4 ივლისი

მაჰმად ალი შაჰმა კონტრ-რევოლიუციის დაწყების დროს შეჰფიცა,— ჩემმა წინაპრებმა მახვილით დაიმკვიდრეს თვითმპყრობელობა და მეც მახვილით დავიცავ ჩემს უზენაეს უფლებებსაო. მახვილი დაჟანგებული აღმოჩნდა და მაჰმად ალიმ არა-თუ თვითმპყრობელობის დაცვა ვერ მოახერხა, თავის პიროვნების, თავის პირად ხელუხლებლობის დაცვასაც ვერ ახერხებს. 30 ივნისს რევოლიუციონერებმა აიღეს შაჰის რეზიდენცია სალთანაბადი და სპარსეთის სატახტო ქალაქი თეირანი. ჰფიქრობენ, რომ შაჰმა კიდეც შეაფარა თავი უცხოელ საელჩოებს. ირანის ბრძანებელს არავინ დამცველი არ აღმოუჩნდა: ჯარი გადუდგა და რევოლიუციონერებს შეუერთდა, ხოლო თეირანის ხალხი ალტაცებით და ოვაციებით მიეგება რევოლიუციის გმირებს სარდალ-ასადს, სეპეხდარსა და ეფრემს...

ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა შეიარაღებულ ხალხის გალაშქრება. მთელი ეს ამბავი ძალიან მოგვაგონებს ახალგაზდა ოსმალთა გალაშქრებას მაკედონიიდან სტამბოლზე და, უეჭველია, ამის ზედგავლენას ადგილი აქვს სპირსეთის უკანასკნელ დროის ამბებში, უახლოესი შედეგიც იგივე იქნება: შაჰს ტახტიდან ჩამოაბრძანებენ და უზრუნველ-ჰყოფენ კონსტიტუციას. მაგრამ განსხვავებაც არის ოსმალეთისა და სპარსეთის რევოლიუციის ამ შესანიშნავ აქტთა შორის: ოსმალთა უკანასკნელი გამარჯვება თვითმპყრობელობაზე უფრო მხედრობის საქმე იყო, ვიდრე ხალხისა; სპარსეთში-კი უკანასკნელს გამარჯვებას უფრო ხალხური, ვიდრე მხედრული ხასიათი აქვს. ეს გარემოება-კი იმის მაჩვენებელია, რომ სპარსეთის რევოლიუცია უფრო მტკიცე და მკვიდრი უნდა იქნას, ვიდრე ოსმალეთისა, რადგან უფრო ღრმადა აქვს ფესვი ხალხში, უფრო უკეთ აქვს შემზადებული ნიადაგი.

ჩვენ ვამბობთ—უფრო მტკიცე და მკვიდრი **უნდა იყოს** და არ ვამბობთ გადაჭრით—უფრო მტკიცე და მკვიდრი **არის**. იმიტომ რომ, სამწუხაროდ, სპარსეთის საერთაშორისო მდგომარეობა სხვანაირია, ვიდრე ოსმალეთისა. როცა ახალგაზდა ოსმალნი თავიანთ გმირულ აქტს ახდენდნენ, ოსმალეთის ტერრიტორიაზე არც ერთი შეიარაღებული უცხოელი ჯარის კაცი არა ყოფილა. სპარსეთში-კი მთელი უცხოელი რაზმია დაბანაკებული და ჩასარევად გამზადებული. მართალია, რუსეთის მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, სპარსეთის შინაურ დავაში რუსეთი არ ჩაერევაო და ესეთი განცხადება ინგლისმაც დაადასტურა, მაგრამ რუსეთის ოფიციალურ განცხადებას ისეთი კუდი ჰქონდა გამობმული, რომ ყველაფრის მოლოდინში უნდა ვიყოთ. ჩვენი ჯარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივა თეირანს და ჩაერევა სპარსეთის საქმეებშიო, თუ რუს და უცხოელ ქვეშევრდომთა მდგომარეობა საშიშროებაში ჩავარდებაო. ეს მეტად სახიფათო პირობაა, რომლის არსებობის შექმნაც ყოველთვის შეიძლება. აიღეთ, მაგალითად, ის ამბავი, რომელსაც ტელეგრაფი გვაუწყებს ლონდონიდან: ლიახოვი და სხვა რუსი აფიცრები გამაგრებულან ერთ სახლში, შიგ სპარსელი ყაზახები შეუყვანიათ და ამავე დროს სახლზე რუსეთის ეროვნული დროშა აღუმართავთო. სეპეხდარს უკვე განუცხადებია კონსულებისათვის—იმ სახლზე იერიში უნდა მივიტანოო, რათა ყაზახები გავფანტოო. ასეთი სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი აქტი, რომელსაც სიფრთხილე და წინდახედულება მოითხოვს რევოლიუციის დროს, რუსეთს თამამად შეუძლიან ჩასთვალოს იმ პირობად, რომლის არსებობის დროს შეუძლიან თავის ჯარის გალაშქრება თეირანზე. სხვა რიგადაც შეუძლიანთ მარჯვე საბაბის შექმნა ლიახოვებს...

ეს გარემოება სულ სხვა მიმდინარეობას აძლევს სპარსეთის რევოლიუციას. ეს რომ არ იყოს, მისი ბრწყინვალე გამარჯვება ყოველ ეჭვს გარეშე იქნებოდა, იმდენად ლოღიკურად და ბუნებრივად მიმდინარეობს სარევოლიუციო ტრაგედია. მაჰმად ალის ბოროტებასა და ვერაგობას ბუნებრივად მოჰყვა ხალხის აჯანყება. გამარჯვებული ხალხი იპყრობს სატახტო ქალაქს, ტახტიდან აგდებს ვერაგ მტარვალს და უზრუნველ-ჰყოფს რევოლიუციის გამარჯვებას. ეს ფაქტები ბუნებრივად გამომდინარეობენ ურთი-ერთისაგან, და მხოლოდ უცხოელთა ჩარევას შეუძლიან სხვა მიმართულება მისცეს ასტორიის ასეთ მსვლელობას. განიცდის თუ არა მრავალ-ტანჯული ქვეყანა ასეთ ჩარევის მწარე შედეგს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ცხადია, თუ უცხოელნი თავს ვერ შეიკავებენ და საშიშ ნაბიჯს გადასდგამენ, სპარსეთის საქმეები აიწეწება და, ვინ იცის, იქნება ამას საერთა-შორისო მდგომარეობის შერყევაც მოჰყვეს. რუსეთის დიპლომატიას იმის იმედი აქვს, რომ ოსმალეთი ამ ჟამად ვერ გაჰბედავს აქტიურ საგარეო პოლიტიკის წარმოებას; მაგრამ ასეთი იმედი და ანგარიში ბევრჯელ არ გამართლებულა...

ასე იქნება თუ ისე, ასცდება თუ არა სპარსეთი უცხოელთა ჩარევას, ყოველ შემთხვევაში 30 ივნისი სპარსეთის ისტორიაში დიდებულ საისტორიო დღედ დარჩება. სპარსელმა ხალხმა მტარვალობის დროშა ძირს დასცა და თავის შეგნებულის გმირობით დაამტკიცა, რომ შეუძლიან ახალი ცხოვრება დაიწყოს, თავისი ქვეყანა განაახლოს არა მარტო ქაღალდზე, არამედ საქმით და სინამდვილით. ასეთი ხალხი არ მოკვდება და არავის არ დანებდება; ხოლო ვინც მას გზაზე ეღობება და ხელს უშლის, იგი მის საუკუნო მტრად გადაიქცევა...

## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

**დეპეშები**

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: პირველ ივლისს ომი არ შეწყვეტილა. სპარსეთის ყაზახები რევოლიუციონერებს განუწყვეტლივ ესვრიან ზარბაზნებს. ზარბაზნების ტყვიები ზოგჯერ ევროპიელების სახლებსა ჰხვდება და ეს იმიტომ რომ რევოლიუციონერები სახლის სახურავებზე არიან და იქიდან ისვრიან თოფებს. შაჰის ჯარი მეჯლისის სადგომს ესვრის ზარბაზანს. შაჰის ჯარი ქალაქ გარედ არის გამაგრებული. პირველ ივლისს რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა შაჰს ურჩიეს, რევოლიუციონერებს როგორმე მოურიგდიო. შაჰმა უარი განაცხადა. საღამოთი რუსეთის საელჩოს მდივანმა მეჯლისის სადგომში ინახულა სეპეხდარი და სერდარ ასადი. მდივანმა უთხრა სეპეხდარს და ასადს, რომ თუ ლიახოვი და ყაზახები დაგნებდებიან, სიტყვა უნდა მისცეთ, რომ არ დახოცავთო. რევოლიუციონერების მეთაურებმა საელჩოს მდივანს გადასცეს, რომ თუ აფიცრები და ყაზახები იარაღს დაჰყრიან, ხელს არავინ ახლებს და ნება მიეცემათ ან სახლებში დაბრუნდნენ, ან აქვე დარჩნენ. მხოლოდ არაფერში არ უნდა გაერივნენო. ამას გარდა ყაზახებს უფლება ექნებათ საკონსტიტუციო მართველობას ემსახურნენ, რადგან ყველას სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნებაო.

**თეირანი.** პირველ ივლისს შაჰმა ბრძანება გასცა, ზარბაზნები დაუშინეთ ქალაქს, დაანგრიეთ მეჯლისის სადგომი და ქალაქის შესავალი გაანთავისუფლეთო. უცხოელების წარმომადგენლებმა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს სთხოვეს, შაჰს უთხარით, რევოლიუციონერებთან შეთანხმდეს და დროებით მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, რომ თეირანიდან გავიდეთო. შაჰმა უარი შეუთვალა,—როდესაც ჩემ სახლს ყაჩაღები ესხმიან, უფლება მაქვს თავი დავიცვაო. მან განაცხადა, იმ შემთხვევაში შევაჩერებ სროლას, თუ რევოლიუციონერები იარაღს დაჰყრიანო. ქალაქში მთელ დღეს სროლა არ შეწყვეტილა. შაჰის არტილერიამ 200-ზე მეტჯერ გაისროლა ზარბაზნები. ქალაქი სერიოზულად არ დაზიანებულა. შაჰის ქვეითა ჯარმა განიზრახა მეჯლისის აღება, რევოლიუციონერები ყუმბარებით და ხშირის სროლით დაუხვდნენ. შაჰის ჯარი უკან გაიქცა. ქალაქსა და ელჩების საზაფხულო რეზიდენციებს შორის მისვლა-მოსვლა გაძნელებულია, ტელეფონი და ტელეგრაფი არ მოქმედებს. საღამოს 7 საათზე ამბავი მოვიდა, რომ შაჰმა დროებით ზავი ჩამოაგდოო. მისის ბრძანებით ჯარი სალტანაბადში იკრიბება. სროლის დროს რამდენიმე ტყვია რუსეთის საელჩოს და ბანკის სადგომებს მოჰხვდა, მაგრამ ევროპიელებსა და რუსებიდან არავინ დაშავებულა.

**ბერლინი.** თეირანიდან იუწყებიან: სპარსეთის სამღვდელოება იწვევს ხალხს სამღვთო ომი გამოუცხადოს რუსებს, ხოლო რუსეთის საქონელს—ბოიკოტი.

**თავრიზი.** ენჯუმენში ფიდაები ხალხს ეუბნებიან, რევოლიუციონერებმა დააქციეს შაჰის რეზიდენცია სალტანეტაბადში და თითონ შაჰიც რუსის საელჩოში გაიქცაო. ფანატიკოსები მეჩეთებსა და ბაზრებში ცხარე სიტყვებს ამბობენ და ჰკიცხავენ რუსეთს. ხალხს იწვევენ—შეიარაღდითო. აგიტაციას ეწევიან, რომ სათარ-ხანი ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად იქნეს გამოცხადებული.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: ხმა დადის, რომ ლიახოვმა ბრძანება გასცა, შეჩერდეს თოფის სროლა, სპარსელ ყაზახებს უკანასკნელი ორი საათი აღარ უსროლიათ. შაჰის ჯარსა, ბახტიარებსა და ნაციონალისტებს შორის სროლა ჯერ არ შეჩერებულა. ზარბაზნების სროლა ზოგგან შეაჩერეს. შაჰის ჯარმა 1 ივლისს საღამოთი იერიში მიიტანა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ალაყაფის კარებზე, მაგრამ ნაციონალისტებმა დიდის ზარალით უკუ აქციეს.

**კელნი.** „კელნიშე-ცეიტუნგს" თეირანიდან ატყობინებენ: 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სალტანეტაბადიდან მოსული 200 ბახტიარი, შაჰის მომხრე, ქალაქში შევარდა და იერიში მიიტანა მეჯლისზე. ამავე დროს მეჯლისს თეირანის ჩრდილოეთიდან ზარბაზნებს ესროდნენ. შაჰთან მყოფმა თავისუფალმა მეომრებმა ხელი მიჰყვეს სომეხთა სახლების ცარცვა-აკლებას. უცხოელების დროშებს ყურადღებას აღარ აქცევენ. გაცარცვეს აგრეთვე რამდენიმე ევროპიელის სახლი. ნაციონალისტებს აზრადა აქვთ, საბოლოო იერიში მიიტანონ. ფიქრობენ საღამოთი ააფეთქონ ყაზახების ყაზარ-

მები და ლიახოვის სახლი. გერმანელთა სკოლას განსაცდელი მოელის. ამბობენ, სპარსეთის ალაყაფის კარებთან მოვიდა ახალი რაზმი ბახტიარებისაო, ამ რაზმში ორი ათასი მებრძოლიაო.

**სტამბოლი.** სპარსეთის ადგილობრივმა ენჯუმენმა სთხოვა ოსმალეთის მთავრობას დახმარება რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ენჯუმენი ჰქადაგებს რუსეთის საქონლის ბოიკოტს. მანვე მოაწყო სპარსეთის დეპეშათა სააგენტო, ეს სააგენტო თეირანიდან მიღებულ დეპეშებს აწვდის გაზეთებს პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობების გასაბათილებლად. ენჯუმენი ყველას ატყობინებს, რომ სპარსეთში საზოგადოებრივი აზრი მტრულის თვალით უყურებს რუსებსო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. შეკითხვაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ თეირანის მდგომარეობაზე შემდეგი განაცხადა: ინგლისის საელჩოს სახლის და ზოგიერთ უცხოელების სახლების მცირე დაზიანების გარდა თეირანში უცხოელებიდან არავინ არ დაზიანებულა. მართალია, უცხოელნი აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ აქამდის რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა საჭიროდ არ დაინახეს განსაკუთრებულ ზომების მიღება. რუსეთის ჯარს ბრძანება ხრ მიუღია თეირანში წავიდეს, თუმცა კი რუსის ჯარი კაზვინში მზად არის გასალაშქრებლად. შირაზში მდგომარეობა საშიშოა. ბრძანება გავეცით, ინგლისის რაზმი მზად იყოს, რომ საჭიროების მიხედვით ბუშირიდან შირაზში წავიდეს ინგლისის კონსულის რაზმის გასაძლიერებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, სპარსეთში მებრძოლი პარტიები ისეთ ზომებს შეიმუშავებენ, რომ უცხოელებს უზრუნველ-ჰყოფენ და განსაკუთრებულ ზომებს აღარ მიგვაღებინებენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მთავარ მუშტეიდების ფეტვა.**

რამოდენიმე ხნის წინ ნეჯეფისა და ქელბალას მთავარ-მუშტეიდებმა მუსულმანთა რჯულის მოღალატედ გამოაცხადეს მამედ-ალი-შაჰი და მისი მეგობრები და მათ წინააღმდეგ ფეტვა (განაჩენი, დადგენილება) გამოსცეს. ამ ფეტვის ძალით სპარსეთის ერი საყოველთაოდ უნდა აჯანყდეს მუსულმანობისგან განრიდულს შაჰის წინააღმდეგ და განდევნოს იგი სპარსეთიდან. ამავე ფეტვით მუშტეიდებმა, გლოვის ნიშნად შაჰის ბოროტ-მოქმედების გამო, ხალხს აუკრძალეს მეჩითებსა და სხვა საჯარო ადგილებში სალოცავად შეკრება. მუშტეიდების, ამ სპარსელ პაპების, ფეტვამ გასჭრა: სპარსეთის მთელმა ერმა თავის წმიდა მოვალეობად ჩასთვალა მათი ბრძანების ასრულება და ირანის ყველა კუთხიდან შეიარაღებული ხალხი დაიძრა თეირანისკენ შერჩევნებულ შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად. თითონ მთავარი მუშტეიდები მივიდნენ სპარსეთში (ნეჯეფი და ქელბალა ოსმალეთში მდებარეობენ) და აჯანყებულ ხალხს გაუძღვნენ.... მთელი სპარსეთი ფეხზე დადგა: რაზმები შეადგინა და თეირანზე გაგზავნა. რეშტიდან, შირაზიდან, მეშედიდან, ჰამადანიდან და სხვა ადგილებიდან მრავალი შეიარაღებული ცხენოსანი და ქვეითი მეომარი გაემართა სარდალ ასადისა და სეპეხდარის საშველად...

**სარდალ-ასადი და სეპეხდარი ამშვიდებენ უცხოელებს.**

თეირანის აღების შემდეგ სარდალ-ასადმა და სეპეხდარმა შემდეგი განცხადება ჩააბარეს უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს:

„ჩვენ არა გვსურს სისხლის ღვრა, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ სპარსეთის კონსტიტუცია მარტო ქაღალდზე არ იყოს დაწერილი. არხეინად ბძანდებოდეთ. წესიერებას თეირანში არავინ დაარღვევს, უცხოელთა სიცოცხლესა და ქონებას ხელს არავინ ახლებს“.

**ნეჯეფის მთავარ მუშტეიდის პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ.**

„ნ. რუს“-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: ნეჯეფის მთავარი მუშტეიდი მკაცრად ჰგმობს რუსეთის პოლიტიკას და ბეჯითად სთხოვს სხვა სახელმწიფოებს, წინააღუდგნენ რუსეთის უსამართლო მოქმედებას სპარსეთში. მუშტეიდი სხვათა შორის შემდეგსა სწერს თავის პროტესტში:

„ისტორიაში ჯერ არა ყოფილა ისეთი ერი, რომელიც ორი წლის გამუდმებულ ბრძოლის დროს ასე ზრდილობიანად და წესიერად მოჰქცეოდეს უცხოელებს, როგორც სპარსეთის ერი. რუსეთის მთავრობა-კი ივიწყებს ამას და ვითომდა თავის ქვეშევრდომების დასაცველად მალე მთელ ადერბეიჯანში ჩააყენებს ჯარებსო“.

კორესპონდენტი თავის მხრივ დასძენს: ვიცნობ-რა სპარსეთის ერს, დარწმუნებული ვარ, რომ კონსტიტუცია კიდევ მრავალ მსხვერპლს მოითხოვს სპარსეთის ხალხისგან. არც თუ რუსეთის მთავრობა შესწირავს ნაკლებ მსხვერპლს თავის „ცალმხრივან პოლიტიკის გამო“.

**გილანის ენჯუმენის პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: „საელჩოებს ბევრი პროვინციალურ ქალაქებიდან მოუვიდათ პროტესტი რუსის ახალ ჯარის სპარსეთში შესვლის წინააღმდეგ.

რეშტსა, კაზვინსა და სხვა ქალაქებში სპარსელებმა დემონსტრაციის ნიშნად ბაზრები დაკეტეს. 27 ივნისს თეირანში ყველა საელჩოს შემდეგი პროკლამაცია მოუვიდა გილანის ენჯუმენისგან;

„სპარსეთის ხალხი ჰფიქრობდა, რომ განათლებულ ერების მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს მათ სიტყვას. რუსეთმა წინად არა ერთხელ გამოაცხადა, რომ სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა არ მსურსო, ეხლა-კი, როცა დაინახა, რომ სპარსეთის ხალხი იმარჯვებს და თავის მიზანს — კონსტიტუციონურ თავისუფლებას აღწევს, რუსეთმა ხელის შესაშლელად ყაზახები გამოგზავნა, თუმცა-კი რევოლიუციის დროს გილანში არც ერთს უცხოელს არა დაჰშავებიარა. სპარსეთი ამ წამს სუსტია და არ შეუძლიან ძალა მოიხმაროს რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ ვსთხოვთ ყველა სახელმწიფოს, ჰკითხონ რუსეთს, რისთვის ჩაერია იგი სპარსეთის შინაგან საქმეებში.

თუ რუსის საქონლის წინააღმდეგ ბოიკოტს გამოაცხადებენ სპარსელები, რუსეთი ჩვენ ნუღარ დაგვემდურება.

რუსეთის საელჩოს რწმუნებულმა საბლინმა ამ პროტესტის პასუხად შეადგინა განცხადება, რომლითაც აცნობა გილანის მცხოვრებთ, რომ რუსის ჯარი სპარსეთის შინაგან საქმეებში ჩასარევად როდი მოდის და რომ იგი როდი დაუშლის სპარსელებს თავისუფლებისთვის ბრძოლასო.

საბლინმა წაიკითხა რამდენიმე მუხლი იმ ინსტრუქციიდან, რომელიც შედგენილია ახალ რაზმის უფროსის გენერალ გაბაევისთვის. ინსტრუქციაში სხვათა შორის ნათქვამია: რუსის ჯარმა უნდა შეხედოს სპარსელებს ისე, როგორც რუსეთის მეგობარ ქვეყნის შვილებს და არა როგორც მტრებს, არასოდეს არ უნდა გამოართვან მათ ძალით სანოვაგე და არ ჩაერიოს სპარსელ ერის პარტიულ ბრძოლაში. იარაღი რუსის ჯარმა უნდა მოიხმაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს სრულიად აუცილებელი იქნება. ჯარის-კაცებს სასტიკად ნაბძანები აქვთ, რომ სპარსელ ქალებს არა დაუშავონ რა“.

**უცხოელებს არავითარი საფრთხე არ მოელით თეირანში.**

ინგლისის პარლამენტის წევრმა დინჩმა გაზ. „ტაიმს“-ში დაბეჭდა დეპეშა, რომელიც მას მიუღია თეირანიდან ერთის ცნობილ ინგლისელ ფირმის აგენტისგან. დეპეშაში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ ევროპიელებს თეირანში არავითარი საფრთხე არ მოელითო.

**ასად-ჰუსეინ-შაჰის მანიფესტი.**

გაზ. „ბაკუ“ იუწყება: ბახტიარების ხანმა სარდალ-ასადმა თავისი თავი მთელის სპარსეთის მბრძანებლადა და შაჰინ-შაჰად გამოაცხადა და მანიფესტი გამოსცა სპარსეთის ხალხისადმი. მანიფესტში ახალი შაჰი იხსენიებს, რომ ბახტიარების ხანებს ძველადგანვე აქვთ მოპოებული უფლება შაჰის ტახტზეო, და ჰპირდება ხალხს მრავალ რეფორმას. ახალი შაჰი სხვათა შორის სწერს მანიფესტში: „მე დიდხანს ვცხოვრობდი ინგლისსა და საფრანგეთში და შევისწავლე მათი სახელმწიფო წყობილება, მე მუდამ მსურდა სპარსეთი ბედნიერი და თავისუფალი ქვეყანა ყოფილიყო და ეს ჩემი ოცნება ლამის განხორციელდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ალლაჰი შემაძლებინებს ჩემის მძიმე საქმის შესრულებას;

მანიფესტს ხელს აწერს: „ასად-ჰუსეინ-შაჰი“.

**სპარსეთს არც ერთი ევროპიელი სახელმწიფო არ დაეხმარება.**

ერთს ევროპიელს დიპლომატს სტამბოლში შემდეგი უთქვამს „კასპის“ კორესპონდენტისთვის:

„სპარსეთს არც ერთის ევროპიელ სახელმწიფოს შველის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ევროპიელები ჯერ იმასაც ძლიერ ჩივიან, რომ აზიაში იაპონია გაძლიერდა. იაპონიამ კბილი მოჰკვეთა ევროპას და ბევრი ზარალი მისცა მას. ამიტომ ევროპა აღარ მოითმენს, რომ მის თვალ წინ მუსულმანთა ძლიერი სახელმწიფო დაარსდეს. ეს დიდად საზარალო იქნება მის ინტერესებისთვის. ამიტომ ევროპა ყოველნაირად ეცდება პანისლამიზმის აღმოფხვრას და მუსულმანებს არას დროს არ მისცემს შეერთების ნებას, მით უმეტეს, რომ მუსულმანთა უმეტესობა ცხოვრობს ევროპის სახელმწიფოთა სამფლობელოში. ყველაზე ძლიერ ამ მხრივ ცდილობს ინგლისი. აი სწორედ ამით აიხსნება, რომ ინგლისმა რუსეთს სპარსეთში შესვლის ნება მისცა.“

**რუსის ჯარს სახადი გაუჩნდა.**

„ბაქუ“-ს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდან: რუსის ჯარში სახადი მძვინვარებს. ორიოდე დღის განმავლობაში სახადისაგან მოკვდა 6 ჯარისკაცი და 1 ყაზახი. როგორც ჩანს, რუსები ვერ იტანენ აქაურ ჰავას, უფრო ხშირად ავად ხდებიან ბოლონელი ჯარისკაცები“.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
3 ივლისი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, კრიტოსის შესახებ პასუხს მფარველ სახელმწიფოებს ორი-სამი დღის შემდეგ გადავცემთო. მთავრობას და ახალ-გაზრდა ოსმალთა კომიტეტს სურდათ, რომ ოსმალეთსაც მიეღო მონაწილეობა კრიტოსის საკითხის გადაწყვეტაში. ეს უკანასკნელნი ძალიან უკმაყოფილონი არიან, რომ კრიტოსის საქმე ოსმალეთის დაუსწრებლად გადასწყდა. ზოგიერთი გაზეთები სახელმწიფოების გადაწყვეტილებას პროტესტს უცხადებენ. სტამბოლში დიდი აგიტაციაა. განზრახულია საპროტესტო მიტინგების გამართვა. დეპუტატთა პალატის წრეებში სამინისტროთი უკმაყოფილონი არიან. ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ ეგეის ზღვის ნავთსადგურებში ზარბაზნები და სამხედრო მასალა გადაქვთო. გადაწყვეტილი სმირნის და სალონიკის ნავთსადგურების შესავლები შეჰკრან. სამხედრო სამინისტრო გაცხარებულ მუშაობაშია.

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დოუსტოფტის მახლობლად წყალ ქვეშ მავალი ნავი დაეჯახა ერთ გემს. ნავის მოსამსახურენი დაიღუპნენ. მეორე წყალ-ქვეშ მავალი ნავი დაზიანდა. მსახურები გადარჩნენ.

**სტოკჰოლმი.** „აფტონბლადეტის“ სიტყვით, შვეციის მთავრობას გადაუწყვეტია, [illegible] აქ დაპატიმრებული რუსები. ჯერ არ [illegible] გაზეთს სარწმუნო წყაროდან გაუგია, რომ თუ დაპატიმრებულები წინააღმდეგნი იქნებიან რუსეთში დაბრუნებისა, შვეციის მთავრობა მათ რუსეთში აღარ გაგზავნისო.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 120, გარდაიცვალა 42, ავად არის 893 კაცი.

რუსეთის საფინანსო აგენტი ბერლინში პ. ი. მილერი დაინიშნა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მესამე ამხანაგად, სახელმწიფო საბჭოს წევრი ავდაკოვი ვაჭრობა-მრეწველობის საბჭოს წევრად.

სახელმწიფო საბჭოს წევრებად აირჩიეს: კრესტოვნიკოვი და სიუნინსკი, ტიმირიაზევი და ტრიპოლიტოვი. პირველი ორი ვაჭრებისაგან, უკანასკნელნი—მრეწველებისაგან.

**ელისავეტგრადი.** დღისით, ქალაქიდან 9 ვერსის მანძილზე, გაძარცვეს ბობრინეციდან ელისავეტგრადში მიმავალი ფოსტა, მოჰკლეს ფოსტალიონი და დარაჯი, დასჭრეს მეეტლე და მეორე დარაჯი. წაიღეს 700 მანეთი ვერცხლის ფული, 11,000 მანეთი ოქროს ფული იქვე დასტოვეს.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკის ბრძანებით პოლიციამ დაიარა ეგრედ წოდებულ იოანნიტების პრიუტები და იქიდან წაიყვანა 140 ბავშვი ორივე სქესისა. ბავშვები 3—7 წლისანი არიან. ყველა ბავშვი ავად არის, უმთავრესად თვალის ავადმყოფობით, მუნით და სურავანდით.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ქება-ქებათა“, კიტა აბაშიძისა. სურათები: კოცნა, —ქანდაკება, ვლ. ლორთქიფანიძის სამი სურათი და რეშტის ენჯუმენის წევრები.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ელექტრონის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** როგორც ვწერდით, კავკავში შესდგა ფულიან კაცების წრე, რომელსაც აზრადა აქვს ტფილისიდან კავკავამდე, კავკასიონის მთაზე ელექტრონის გზა გაიყვანოს. ეხლა გაზეთ „ტერეკ“-ის სიტყვით, საქმის მოთავეებს პეტერბურგიდან დეპეშა მიუღიათ, რომ მათი შუამდგომლობა კონცესიის შესახებ შეწყნარებულ იქმნა. აზრადა აქვთ, საქმეს ეხლავე შეუდგნენ. ქალაქმა კავკავმა 30 დესეტინა ადგილი დაუთმო მომავალ გზისთვის კავკავში სადგურის ასაშენებლად.

# ტფილისიდან ჭულფამდე

**ერთის თვალის გადავლებით.**

მგზავრის წერილები. *)

ეჩმიაძინი სამაზრო ქალაქად ითვლება. დიდი არ არის, სულ ერთი ორი ქუჩაა. აქა-იქ ორ სართულიანი საკმაოდ ლამაზი სახლებიცა სდგას. არის მაღაზიებიც, წიგნების სავაჭროც, სამაზრო დაწესებულებანი. მაგრამ შესანიშნავი ეჩმიაძინში საპატრიარქო მონასტერია, სადაც სცხოვრობს სრულიად სომხთა კათალიკოსი. ჩვენ, რამდენადაც დრო ხელს გვიწყობდა, მხოლოდ ეს მონასტერი დავათვალიერეთ და ამიტომ საერთოდ ეჩმიაძინზე ბევრს ვერას ვიტყვით.

ეჩმიაძინი გაშენებულია ხელის გულივით სწორ ვაკეზე. როგორც წინათაც მოვიხსენიე, ეჩმიაძინს დასავლეთით ჩაუდის მოზრდილი მდინარე არავანსუ. ნიადაგი ნაყოფიერია, ხე მაღალი იზრდება, განსაკუთრებით ვერხვი და ალვის ხე, მაგრამ სინესტე საშინელია. სიტყვა ეჩმიაძინი—ჩვენებურად რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს ძე-ღვთის გამოცხადებას. იქ, სადაც ეჩმიაძინის ტაძარია, გრიგოლ განმანათლებელს ძილში მაცხოვარი გამოეცხადაო, ამიხსნეს იქაურ აკადემიის სტუდენტებმა, შემდეგ იქ ტაძარი ააშენეს და ეს ადგილი სომხებისათვის მთავარ სიწმიდედ გადაიქცაო. თვით ქალაქს და განსაკუთრებით ახლანდელ ოფიციალურ დაბა ეჩმიაძინის ახლო მდებარე ძველთა ძველ სოფელს სომხები ვაჰარშაპატს ეძახიან.

ჩამოვხტით თუ არა ეტლიდან, მაშინვე მონასტრისაკენ გავეჩქარეთ. მონასტერს საკმაო დიდი ადგილი უჭირავს. ირგვლივ შემოზღუდულია ოთხ-ხუთ არშინის სიმაღლე კარგად შენახული ქვითკირის გალავნით. შესავალი კარი აქვს დასავლეთის მხრივ. აქ, მარჯვნივ. გალავნის გარედ ერთ-სართულიანი მოწითანო, თლილი ქვისაგან აგებული, ლამაზი, პატარა შენობა შევამჩნიე. სახლის წინ თუნუქის ფართო ფიცარზე დიდის მოვარაყებულ ასოებით ეწერა რუსულად და სომხურად „ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდი“. რა დიდი სახელი და რა ერთიბეწო სახლი მეთქი, გასაგონად წამოვიძახე. ეს შენობა სულ რამდენიმე ოთახისაგან შესდგება. ფანჯრის მინის შემწეობით შორიდანვე გავარჩიე მაგიდაზე დადგმული „ზერცალო“, ეს აუცილებელი საგანი ყოველ გვარ ოფიციალურ დაწესებულებისა რუსეთის იმპერიაში. გავიარეთ ძველებური ბჭე-კარი და შევედით ტაძრის ეზოში. ბჭე-კართან გარედ ელექტრონის შუშა შევნიშნე. მთლად მონასტერი და აკადემია ელექტრონითაა განათებული. საკუთარი საელექტრონო სადგური აქვთ.

ეჩმიაძინის ტაძარი მთავარი, სიწმინდე სომხებისა, მოწითანო თლილის ქვისაგანაა აგებული თუმცა ძლიერ ძველი უნდა იყოს, მაგრამ კედლები გარედან საკმაოდ კარგად შენახულა. სიგრძე-სიგანით მცხეთის ტაძრის ტოლა არ არის, თუმცა ბევრად არ ჩამოუვარდება, სიმაღლე კი დიდი არა აქვს. თითქმის დაბალია. საზოგადოდ სომხებს, როგორც ეტყობა, მაღალ ეკლესიების შენება არა ჰყვარებიათ. ტაძარს ერთი დიდი გუმბათი, ჩვეულებრივ ქართულ-სომხურ ტიპისა, შუაში აქვს და ამ გვარი ოთხი პატარა კუთხეებში, დასავლეთის მხრივ სამრეკლოსთვის პატარა გუმბათია ცალკე აყვანილი და ლამაზ გრეხილ ჩუქურთმებით მორთული. შედარებით პატარა ზარები ჰკიდია.

შევედით ტაძარში. აღდგომა დღის წირვა გამოდიოდა *). ეკკლესიას შიგნით ოთხი საკურთხეველი აქვს, ერთი უმთავრესი, ჩვეულებრივ ალაგას, ორი აქეთ-იქით ჩრდილოეთ-სამხრეთით კედლებზე და ერთიც ტაძრის შუა გულ. აქ შუაგულ ოთხ სვეტზე გამაგრებულია პატარა გუმბათი და შიგ ტრაპეზია გამართული, ეს არის მთავარი სიწმინდე სომხებისა. როგორც მითხრეს, ამ ალაგას სძინებია წმ. გრიგოლს და აქ გამოჰცხადებია მაცხოვარი. მაშ ნამდვილი ეჩმიაძინი სწორედ ეს საყდრის შუაგულში აშენებული საკურთხეველია. აქ მხოლოდ დიდ დღესასწაულებში სწირავენ ხოლმე. დღესაც ერთი ჭაღარა ეპისკოპოსი იდგა ამ საკურთხეველზე შემოსილი და ხალხისკენ პირ მობრუნებული რაღაც ლოცვას კითხულობდა. ბოლო ჩამოლოცვა იყო, რადგან ერთი ორი წუთიც, და წირვა გათავდა. ხალხი საყდარში არც მაინც და მაინც ბევრი იყო. მიმოვიხედე. აბა ჩემი ნაცნობი იქ ვინ იქნებოდა. ვარაუდად მივმართე ერთ ევროპიულად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს და ვთხოვე აქაურობის დასათვალიერებლად ჩემთვის პატარა „პროტექცია“ გაეკეთებინა. საუცხოვო არჩევანი მომივიდა. ეს კაცი აღმოჩნდა აქაური ფოტოგრაფი, ძლიერ ახლო ნაცნობი ეპისკოპოსებისა. მაშინვე წავიდა ეპისკოპოსთან, მოელაპარაკა და ორი სამი წუთის შემდეგ ეჩმიაძინის სალაროში ვიდექით მე და ჩემი თანამგზავრი და იქაურობას ვათვალიერებდით. ფოტოგრაფიც ჩვენთან დარჩა და თარჯიმნობას გვიწევდა. ნივთებს გვაჩვენებდა მთავარ დიაკვანი, ოდნავ ჭაღარა გრძელ წვერა, სანდომიანი სახის კაცი. ის მწირველი ყოფილიყო. სტიხარის და ოლარის გახდაც ვერ მოესწრო. მთავარდიაკვანმა წინ და წინვე ბოდიში მოიხადა: „უხერხულ დროს მოგიხდათ მოსვლა. დღეს ყველანი შინ ვეჩქარებით, ბევრი რამ დაკეტილი. და თქვენ ცნობის-მოყვარეობას აქაურობის ნახვით სავსებით ვერ დაიკმაყოფილებთო.

სალაროში საეკკლესიო სამკაული და შესამოსელი ეწყო. თავ და პირველად ჩემი ყურადღება მიიქცია საიაზმეს მსგავსად გაკეთებულმა, უშველებელმა, ვერცხლითა და ოქროთი დაფერილმა ქვაბმა. ეს ქვაბი მირონის სახარშავია. ქვაბი იმდენად დიდია, რომ მოსრული ვაჟკაცი, შიგ რომ ჩაჯდეს, მოთავსდება. ძლიერ ლამაზადაც არის გაკეთებული. წონით, თავ-სახურავიანად რამდენიმე ფუთი იქნება. ამბობენ, რომ ეს ქვაბი მირონის ხარშვის დროს თავისით სდუღსო. ჩემთვის კი ამ ზღაპარზე სიტყვა არ ჩამოუგდიათ. მხოლოდ მითხრეს, რომ ეს ქვაბი ნახიჩევანელმა ვაჭრებმა შემოსწირეს და სამოცდა-ორი ათასი მანეთი დაუჯდათ ამის გაკეთებაო. ეს კი მართალი იქნება.

მიჩვენეს ერთი ხელი შესამოსელი, ოლარი, ფილონი და საეპისკოპოსო ომოფორი. სამივე ერთ ყაიდაზე და ალბად ერთ ხელოსნის მიერ უნდა იყოს გაკეთებული. შესამოსელი სულ ერთიანად ამოქარგულია აბრეშუმის ფერადი ლაზლისაგან. სარჩულადაც წმინდა აბრეშუმი უდევს. ოლარზე ამოქარგულია ისააკის მსხვერპლად შეწირვა, ფილონზე ხარება, სამება და ოთხი მახარებელი, ომოფორზე იაკობის მიერ იდუმალის კიბის ხილვა გინდ შორიდან უყურე და გინდ ახლოს, სანამ ხელს არ მოჰკიდებ, ვერ დაიჯერებ, რომ ამოქარგულთან და არა მხატვრის მიერ წამლებით დახატულთან გაქვს საქმე, იმდენად სისწორით და ხელოვნურად არის გაკეთებული. სამივე შესამოსელი გუშინდელ გაკეთებულსა ჰგავს, სულ ახლათ-ახალია. ნამდვილად კი ოლარზე მშვენიერის თანამედროვე დეკადენტური ხელით აწერია 1250 და მერე რაღაცები სომხურად. რა თქმა უნდა, რიცხვი და სიტყვებიც ამოქარგულია. ჩემ გაოცებაზე, მითხრეს: საქმეც ის არის, ამდენის ხნისაა და გუშინდელსა ჰგავსო. ამ შესამოსლების ისტორია მოკლედ ასე გადმომცეს. როგორც წარწერა ამბობს, გაკეთებულია ჩინეთში მეცამეტე საუკუნეში მდიდარის სომხის ისააკ მურადიანის საფასით არქიმანდრიტის ვართანესა აშტარაკისთვისაო. ვართანესა ჩინეთში მისიონერობდა და იქ სავაჭროდ წასულ სომხებსაც მწყსიდაო. ისაკს ჯერ მისთვის ოლარი და ფილონი უძღვნია და როცა ვართანესა ეპისკოპოსად უკურთხებიათ, ომოფორიც მიურთმევიაო.

ექვი არაა, რომ სომხები ძველი დროიდანვე, როგორც ვაჭარი ხალხი, იცნობდნენ ინდოეთ-ჩინეთს. მეცამეტე საუკუნეც ჩინეთში ლიბერალური ხანა იყო. მაშინ იქ სუნების გვარეულობის (960—1280 ქრ. შემდეგ) მეფეები ბატონობდნენ, რომელთაც ჩინური კარ-დახშულობა გაარღვიეს და უცხოელებს ნება მისცეს ჩინეთში მოგზაურობისა და მისვლა-მოსვლისა. ევროპამაც დაახლოვებით ამ ხანებში გაიცნო ჩინეთი. შესანიშნავი მოგზაური და გეოგრაფი ვენეციელი მარკო პოლოც ამ დროს იყო იქ და დაწვრილებით აღწერა იქაურობა. მე მაინც გულ-ახდილად უნდა ვთქვა; ვეჭობ, რომ ის შესამოსელი შვიდასის წლის წინად გაკეთებული იყოს: არაბული ასოები ხმარებაში კი იყო მაშინ, მაგრამ არა მგონია, რომ ქრონიკონები და წელთა აღრიცხვა იმ დროს არაბული რიცხვებით ეწეროთ. უკანასკნელი სიტყვა ამ საქმეში სპეციალისტებისათვის მიმინდვია.

— ახალი იმიტომ არის, რომ ჩქარ-ჩქარა ვამზეურებთ, რიგიანად ვინახავთ, წელიწადში ერთხელ ვაცმევთ ეპისკოპოსსო. აი დღეს, აღდგომის გულისთვის ამოვიღეთ, თორემ სხვა დროს შენახული გვაქვსო.

*) იხ. „დროება“, N 145.

*) აღდგომა დღეს სომხები დღისით სწირავენ და არა ღამე, როგორც ჩვენში.

✦ **გადაყენება.** ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთებში გამოთქმული შიში, რომ მალე დაიწყება დევნა საქართველოს სასულიერო პირთა, თითქოს მართლდება. ჯერ იყო და გადაასახლეს ეპისკოპოსი კირიონი, მას მიაყოლეს არქიმანდრიტი ამბროსი, რამდენიმე მღვდელი და სხვა. ეხლა კიდევ პეტერბურგიდან სამწუხარო ამბავს იტყობინებიან. სასინოდო კანტორისთვის ბრძანება გამოუგზავნიათ სამსახურიდან გადააყენოს კანტორის მდივნები სოფრომ ზ. მგალობლიშვილი, ალ. დავითაშვილი, ექსარხოსის კანცელარიის მართველის თანაშემწე დ. დავითაშვილი, იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი თუთბერიძე და ხუთი თუ ექვსი სხვა თანამდებობის მოხელე. გვატყობინებენ, რომ თუ ზემოდ დასახელებულნი პირნი მოისურვებენ რუსეთში სამსახურს, შეიძლება გადაყვანილ იქმნენო.

✦ **გადასახლება.** უმიწა-წყლო ქართველი გლეხობა, მიუხედავად იმისა, რომ არავინ არავითარ დახმარებას არ უწევს ადგილ-მამულის შეძენაში, ნელ-ნელა გზას იკვლევს და ახერხეს კიდეც ახალ ადგილებში დასახლებას. განსაკუთრებით დაიძრა ხალხი რაჭიდან, ზემო იმერეთიდან, სვანეთიდან, თუშ-ფშავ ხევსურეთიდან და სხვა ადგილებიდან. იმერეთიდან ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ათას კომლამდე გადავიდა სიღნაღის მაზრაში, დააარსა ორი სოფელი ღელიანს და კაბალს. გადასახლება განსაკუთრებით ქიათურისა და საჩხერის საბოქაულოებიდან დღემდე არ შეწყვეტილა. გადასახლებულებმა ლაგოდეხის ნაწილში კიდევ დააარსეს ორი სოფელი — იმედი და შრომა. ჩვენ უმიწა-წყლო ხალხს რომ ხელმძღვანელნი გაუჩნდნენ, ნაყოფი, რათქმა უნდა, უფრო დიდი და უფრო სასარგებლო იქნება.

✦ **ნიხრი.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე ძროხის ხორცის ნიხრად დააწესა 11 კაპ. ამას გარდა, დაადგინა, ცხვრის ხორცზე თავისუფალი ნიხრი მოსპოს და დაწესდეს 13 კაპ.

✦ **საერობო დაწესებულებანი.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობამ, ქუთაისის ქალაქის თავის თავ. ლორთქიფანიძის წინადადების თანახმად, შუამდგომლობა აღძრა—მოწვეულ იქნეს ტფილისში კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება საერობო დაწესებულებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, შეუდგეს ეხლავე აღნიშნულ საკითხის შესახებ მასალის მოკრებას თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში, ნამესტნიკის კანცელარიაში და სხვაგან. შუამდგომლობას კრების მოწვევის შესახებ ქალაქის თავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი ამ დღეებში წარუდგენს ნამესტნიკს. ეს ამბავი ტფ. ქალაქის გამგეობამ აცნობა ქუთაისისას.

✦ **გაფლანგული ფული.** ჩვენმა მკითხველებმა დიდი ხანია იციან, რომ მიქიაშვილმა გურიაში ბოქაულად ყოფნის დროს ხალხის ფული გაფლანგა. იციან ისიც, რომ ამ ფულს ხალხს მეორედ ახდევინებენ. როგორც „ზაკ.“-ს ატყობინებენ, ეხლა საბოლოოდ გამორკვეულა, რომ მიქიაშვილს ბოქაულობის დროს ორმოცი ათასი მანეთი გაუფლანგავს. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რა ჯოჯოხეთი უნდა იყოს გლეხებისთვის ერთხელ გადახდილ ამოდენა ფულის მეორედ გადახდა.

✦ **სეირნობა და წარმოდგენა.** 2 ივლისს სათავად-აზნაურო თეატრის საზაფხულო ბაღში გაიმართა სეირნობა, ხოლო საზაფხულო თეატრში წარმოდგენა. წარმოადგინეს „ადვოკატთან“, „დარისპანის გასაჭირი“ და რუსულად ალ. ყანჩელის: „მომავალი“ (პროლოგი). ხალხი საკმაოდ დაესწრო.

✦ **უპასპორტოები.** 2 ივლის ჩხრეკის დროს ნაძალადევში დააპატიმრეს 13 უპასპორტო კაცი.

✦ **შრომის ბირჟა.** 15 ივნისიდან 1 ივლისამდე შრომის ბირჟაში სამუშაოს მძებნელი ჩაწერილია 239 კაცი. აქედან 106 მამაკაცი ყოფილა, ხოლო 133 დედაკაცი. ქართველი—28, რუსები—60, სომეხი—25 და სხვა.

✦ **დაგეგმა და მოკირწყვლა.** ვაკეში წყნეთის პროსპექტის დაგეგმვა უკვე დაასრულა ტფ. ქალაქის გამგეობამ და ამ ცოტა ხანში შეუდგებიან მოკირწყვლას.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** პროფესორ მელიქიშვილს უარი შემოუთვლია ლექციების კითხვაზე ტფილისში შემოდგომიდან განზრახულ ქალთა უმაღლეს კურსებზე. დღეს ამ კურსებზე შესვლის მსურველი 40 ქალი ყოფილა. თუ ეს რიცხვი ასამდე არ ავიდა, კურსებს არ გახსნიან, რადგან ძვირად დაჯდება თურმე. (ზ.)

✦ **სასამართლოში.** ორ ივლისს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ზუგდიდის მაზრის სოფ. მანჩხარ-კახათის მცხოვრებთა ვიქტორ კვარცხელიას და სამსონ გაბუნიასი, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოფლელთა წაქეზება 14 თებერვალს 1905 წელს, რასაც შედეგად მოჰყვა დიტუ და ივანე ჩმინავების სახლის გადაწვა. ამ უკანასკნელთ სოფლელები ჯაშუშობას აბრალებდნენ. ამბობდნენ, რომ იმათ წყალობით მივიდნენ სახლში სტრაჟნიკები და მოჰკლეს და დასჭრეს (იმავე 14 თებერვალს) რამდენიმე კაციო. კვარცხელიას და გაბუნიას საქმე პირველად გაირჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოში, რომელმაც ბრალდებულთ მიუსაჯა ოთხ-ოთხი წლით კატორგა. ვექილებმა ი. ბარათაშვილმა და გ. გვაზავამ საქმე განასაჩივრეს. პალატამ სასჯელი შეუმსუბუქა და ბრალდებულთ გადაუწყვიტა ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, თითოს $2^{1}/_{2}$ წლით.

✦ **საჩუქრები და მადლობა.** ტფ. პოლიცმეისტერს და პოლიციის მე-3 ნაწილის ბოქაულს დუშინსკის, ნიშნად მადლობისა სომეხთა კათალიკოსის ტფილისში მოსვლის დროს წესიერების დაცვისათვის, სომეხთა კათალიკოსმა გამოუგზავნა ვერცხლის ნივთები. პოლიციის სხვა მოხელეებს მადლობა მოსვლიათ.

✦ 2 ივლისს ფალავანდოვის ქუჩაზე ტფ. მაზრის მცხოვრებ ნიკოლოზ დარისპანაშვილს კარბადის სიმჟავე დაულევია და თავი მოუწამლავს. მიზეზი თავის მოკვლისა უკიდურესი გაჭირვება ყოფილა.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი ნ. ზ. კოჩაკოვი სამსახურიდან განთავისუფლებულ იქმნა 20 ივლისამდე. ამის გამო გამგეობის 1 და მე-2 განყოფილებათა გამგებლობა ჩაბარდა გამგეობის წევრს ნ. გ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს.

✦ 2 ივლისს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს ამას წინად საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებულნი ერასტი მდივანი და მათე ბოლტინი, რომელნიც თავიანთი ნებით დაბრუნებულან ტფილისში.

✦ 2 ივლისს პოლიციის მე-10 ნაწილში დიდუბეში დააპატიმრეს ნოვობაიაზეთელი სომეხი ნავაპეტ ავეტისიანი, რომელსაც 20 ივნისს თავის სოფელ დალგადაში დაუხრჩვია თავისი ცოლი. დაპატიმრებული გაგზავნეს ერევნის გუბერნიაში.

✦ 5 ივლისს პოლკის სახლში (ნიკოლოზის ქ., № 59) სახალხო სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „დაძმა“. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

## ქუთაისი

✦ **ქალაქის საბჭო.** 28 ივნისს, მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც დიდძალი ხმოსანი და გარეშე საზოგადოება დაესწრო. ამ დღეს განიხილეს ისეთი საკითხები, რომელთა გადასაწყვეტადაც საჭიროა ხმოსანთა რიცხვის ნახევარის დასწრება და რომელნიც მთელი წლის განმავლობაში ვერ განეხილათ. საბჭომ ერთხმად მიიღო საფინანსო და სამშენებლო კომისიების დასკვნა შესახებ იმისა, რომ შეძენილ იქმნეს სასწორის მოედნის გასაფართოვებლად ჩხეიძისა და ტყეშელაშვილის (ახლა ყუფარაძის) ადგილები. ერთხმად მიღებულ იქმნა ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ, თუ მთავრობამ უფასოდ არ დაუთმო ქალაქს სახაზინო ადგილი, „წყალთა-შუად“ წოდებული, ქალაქმა ფულით იყიდოს ადგილი ხე-ტყის მოედნისათვის, და ოთხ-კუთხ საჟენში მისცეს არა უმეტეს მანეთ-ნახევრისა. ფასი ნაწილ-ნაწილად უნდა გადაიხადოს ქალაქმა ოცდა-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში. ერთხმად შეწყნარებულ იქმნა მეფურნეების თხოვნა პურის ნიხრის მომატების შესახებ: არსებულ ნიხრს მოუმატეს ოყაზე ერთი კაპეიკი ე. ი. დაწესდა შემდეგი ნიხრი: პირველ ხარისხის ფურნის პური უნდა გაიყიდოს 14 კაპ. ოყა (სამი გირვანქა), მეორე ხარისხისა—13 კაპ. და მესამესი—12 კაპ. 34 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 1 ხმისა, მიღებულ იქმნა სამშენებლო, სასანიტარო და საფინანსო კომისიების აზრი წყლის გამოყვანის შესახებ: ა) წყლისაყვანის გაკეთება უნდა კონცესიით გაიცეს; ბ) უპირატესობა უნდა მიეცეს წყაროს წყალს, თუ ასეთ წყალს საკმაოდ იშოვნის ქალაქი და კონცესიონერი დასთანხმდება, რომ თითო ვედრო წყალი აძლიოს ქალაქს არა უმეტეს ¼ კაპეიკისა; ხოლო თუ კონცესიონერი ამის თანახმა არ გახდება, იხმაროს რიონის წყალი, ფილტრებით დაწმენდილი; გ) წინადადება მიეცეს ქალაქის გამგეობას, რომ სპეციალისტების დახმარებით ყოველ მხრივ განიხილოს შემოსული წინადადებანი წყლისაყვანის გაკეთების შესახებ, შეიმუშაოს პირობის პროექტი და წარუდგინოს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. დადგენილ იქმნა—ეცნობოს სახელმწიფო ბანკის მმართველობას, რომ ქალაქი მზადაა თავის ხარჯით დაიქირაოს შენობა ხსენებულ ბანკის განყოფილებისთვის, თუ ასეთი განყოფილება გაიხსნება ქუთაისში, იმ დრომდე, სანამ განყოფილებას ოპერაციებიდან იმდენი წმინდა მოგება არ დარჩება, რომ სახლის დაქირავება შესძლოს. მიღებულ იქმნა ხმოსნის ფ. ს. ფილიპოვის წინადადება შესახებ იმისა, რომ კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვირაობით, ქალაქის ბაღში უკრავდეს სამხედრო მუსიკა, ქალაქის ხარჯით მოწვეული.

✦ **სწავლა დამთავრებულნი.** ქუთაის სათავად-აზნაურო გიმნაზია წელს დაასრულა 36 კაცმა. მოგყავს მათი გვარები: ანდრიაძე გიორგი, აფაქიძე მიხეილ, ბარათაშვილი პეტრე, ვერულაშვილი დომენტი, ღოღობერიძე დავით, გუბელაძე ივანე, დემეტრაძე ნიკოლოზ, დემეტრაშვილი სერაპიონი, ჯულელი შალვა, ქორქოლიანი სერგეი, იმხნელი ნესტორ, ქვარიანი კონსტანტინე, ლორთქიფანიძე სიმონ, მომფორია ნიკოლოზ, მეძმარიაშვილი ჯაბა, მიქელაძე ანტონ, ოხეიძე მამანტი, ნაფეტვარიძე აკაკი, ნემსაძე კორნელიოსი, ფურცელაძე გიორგი, რონიშვილი მიქია, უშვერიძე გრიგოლ, ხუნდაძე ლეონ, ხუნდაძე ტროფიმე, ცეცხლაძე ილია, წულეისკირი ივანე, ჩარკვიანი იოსებ, ჩიმაკაძე კონსტანტინე, ჩიხლაძე სერგეი, ჰეჰინაძე აბესალომი, ჰეჰინაძე კონსტანტინე, ჩხეიძე ვალერიან, ჩხეტია იპპოლიტე, შარაძენიძე სიმონ, ელიავა შალვა და იაშვილი კოტე.

# პატარა ფელეტონი

## მთავრობა და პიროვნება

გუშინ დილით მამადავითის კენწეროზე გადავდექი და დავინახე, როგორ მოცოცავდა მაღლა-მაღლა ფუნიკულერის პაწია ვაგონი. როცა მომიახლოვდა, ვაგონის წინა ფანჯარაში გამოყოფილი ვიღაც მამაკაცის თავი შევამჩნიე. დავაკვირდი და ვიცანი ერთი ჩემი კარგი ნაცნობი, უკიდურესი მარქსისტი და ეკონომიური მატერიალისტი. [illegible] სი ნახვა. [illegible] ბოდი ხოლმე, ყოველთვის ცხარე კამათი გვქონდა. ჩემი ნაცნობი მიმტკიცებდა, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ადამიანის პიროვნება არაფერს არა ნიშნავს, რომ თვითეული ჩვენგანი მხოლოდ სათამაშოა გარეშე პირობების, ეკონომიური წყობილების ხელში და სხ. და სხ. ახლა იმიტომ მიამა ნახვა, რომ დარწმუნებული ვიყავი მამა დავითი დაუმტკიცებდა იმას, რის დამტკიცება მე ვერ შევძელ. ვფიქრობდი ჩემ გულში: მადლობა ღმერთს, რომ ამ მაღალი მთის წვერზე ამოსვლა მოიფიქრა. ქალაქურ წყობილების მიერ დაჩაგრულ იმის სულიერ ვითარებას აქ უეჭველი განახლება მოელის: ამ მთის კენწერზე თავს რომ ამოჰყოფს, სულის მაცოცხლებელი გრილი ნიავი დაჰქროლავს და მთელ სიცოცხლეში ერთხელ მაინც აგრძნობინებს ადამიანურ პიროვნებას მეთქი.

ხშირად ვეკითხები ჩემ თავს: ვისი ბრალია, რომ ადამიანი თავისუფალ ადამიანობას, დამოუკიდებელ პიროვნებას უარჰყოფს? მთავრობისა და სხვა არავისი, რასაკვირველია. თქვენ იქნება ღიმილი მოგვერიოთ, მე კი სერიოზულად გესაუბრებით. თქვენ შეიძლება მომიგოთ ამაზე, რომ ახლა მოდად არის შემოღებული ყველაფრის მთავრობაზე გადაბრალება, რომ ამას წინად ერთ ქალაქელ მანდილოსანს უყურადღებობისა გამო ბავშვი მეორე სართულის ფანჯრიდან ქუჩაში გადაუვარდა, გამწარებული ქალი გარედ გამოვარდა და იმის მაგიერ, რომ ბავშვისათვის ეშველნა, იქვე ქუჩის კუთხეში მდგარ პოლიციელს ლანძღვა-გინებით მიაფრინდა: „რა ეშმაკად ატუზულხარ მანდა, შე ლაწირაკო, შენა; რატომ არ დაინახე, ხელი არ შეუშვირე და არ დაიჭირე ჩემი ბავშვი, როცა იგი ფანჯრიდან გადმოვარდა. განა ეს შენი მოვალეობა არ იყო?“

შეიძლება მკითხველმაც ამგვარი ახირებული მანდილოსნობა დამწამოს, რადგან იმასავით მეც ყველაფერს და სოციალ-დემოკრატების უპიროვნობასაც მთავრობას ვაბრალებ. ვეცდები მტკიცე საბუთებით თავი გავიმართლო. აბა მიპასუხეთ, რანაირად შეიძლება, რომ პოლიციურ სახელმწიფოში ადამიანს თავის ღირსების, თავის პიროვნების გრძნობა გამოეღვიძოს? განა ამაზე მთავრობა როდისმე ნებას დართავს? აბა სცადეთ, მიუახლოვდით, პირის-პირ დაუდექით ქალაქის ქუჩაში რომელსამე პოლიციელს, გაჰბედეთ და გამოუცხადეთ, რომ თქვენ ადამიანი ხართ, თუ იმ წამსვე არ დაგიღრიალოს, რომ ადამიანი კი არა, ერთგული ქვეშევრდომი უნდა იყო, რის დასამტკიცებლად

---

მაჩვენეს სახარება, 1253 წელს გადაწერილი, ძვირფას ვერცხლის ყდაში ჩასმული; ჯვარი, ენქერი, მოქსოვილი 1776 წელს. ენქერზე ამაღლებაა ამოქარგული, მიტრა ძვირფას ქვებითაა მორთული.

ვნახე ძველი დროშა, რომელზედაც გამოხატულია მეფე თრდატი, გრიგოლ განმანათლებელი და წმ. მოწამე რიფსიმე. დროშა 8-9 საუკუნეს ეკუთვნის (ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, ამას მისი გარეგნობა ამტკიცებს). ამ დროშას დიდი როლი უთამაშნია ძველად. ვის ხელშიაც ეს დროშა იყო, სომხეთის ბატონიც ის იყოო, მითხრეს. ამიტომ ამ დროშის გულისთვის სომხის მეფე-მთავრები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენო.

მაჩვენეს პატრიარქ-კათალიკოსის და ეპისკოპოსების ხელში დასაჭერი კვერთხები, ზოგი ვერცხლისა, ზოგი სპილოს ძვლისა, ზოგიც ხისა, ფირუზითა—სახეებით მორთული.

მაგრამ განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ხელთ-ნაწერმა სახარებამ. სახარება შედარებით სულ ახლა-ხან გადაწერილია, სექტემბერ 1872 წელს. სიდიდით ყოველკვირეულ გაზეთის „ფასკუნჯის“ ფორმატისა იქნება, დაწერილია მხედრულად საუკეთესო სქელ მოყვითალო ქაღალდზე. როგორც გადმომცეს, გადუწერია ვიღაც ქალს, მარგარიტა ალექსიანცის ასულს შუშაში. ხუთი წელიწადი სწერდა თურმე. უნდა ვაღვიარო, რომ ხელთ-ნაწერი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთ ლამაზ და გარკვეულ დაწერილს არ შევხვედრივარ. დაწერილი კი არა, ასეთი სუფთა და ლამაზი დაბეჭდილიც არ მინახავს. ვუყურებდი, ვათვალიერებდი და არა მჯეროდა, რომ ხელთნაწერი იყო, მხოლოდ დიდის დაკვირვების შემდეგ ვამჩნევდი სავარცხლით ოდნავ გატარებულ ხაზებს სტრიქონებისათვის. თავში იმავე ხელით აქვს შესავალივით წარწერა, სომხურად, რუსულად და ფრანგულად, სადაც მოხსენებულია,—სად, ვისგან და როდის გადიწერა ეს სახარება. უნდა შევნიშნო, რომ რუსულ-ფრანგულ წერაშიაც გადამწერს ისეთივე ოსტატობა გამოუჩენია, როგორიც სომხურში. კარგადაც ინახავენ, ღვთის წინაშე, ამ არა ჩვეულებრივ კალიგრაფიულ ნაშთს. წიგნი ძვირფას ვერცხლის მოოქრულ ყდაშია ჩასმული და ინახება კაკლის შიგნით ამოხავერდებულ ყუთში.

თვალი მოვავლე ტაძარს შიგნით. კედლის მხატვრობა ცოტა-ღა დარჩენილა. ეჩმიაძინის ტაძრის კედლები, როგორც მცხეთისა, ნახევარზე მეტი გათეთრებულია. გუმბათში და აქა-იქ კიდევ დარჩენილა ძველი მხატვრობა, მაგრამ, არ ვიცი კი რა მიზეზით, და წმიდანების გამოხატულება ბევრი თავის დღეში არა ყოფილა იქ. გუმბათში, მაგალითად, მხოლოდ ორშია გრეხილებია, ხოლო ქრისტეს, ან მამა ღმერთის გამოხატულება არ არის. ასეა მომეტებულ ნაწილ კედლებზედაც.

ტაძრის გარედ, კარი-ბჭის ახლო, მახლობლად რამდენიმე საფლავია ბოლო დროინდელ კათალიკოსებისა. აქვეა დამარხული კათალიკოსი გევორქ (1803—1882 წ.), რომელმაც დააარსა ეჩმიაძინის აკადემია. აქვე გვაჩვენეს მკრტიჩ პირველის საფლავი. ჯერ არავითარი ძეგლი არ აქვს.

მთავარ დიაკვანს და ფოტოგრაფს გამოვემშვიდობეთ. ბოდიში მოვიხადეთ, რომ დღესასწაულ დღეს გავაჩერეთ, ალბად მათ შინ ელოდებოდნენ. მე და ჩემი თანამგზავრი აკადემიისაკენ გავეშურეთ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ კარიბჭიდან დასავლეთით გალავნის კედელთან ერთი ძველი უშნო შენობაა: ეს კათალიკოსის სასახლეაო, გვითხრეს, ხოლო ტაძრის აღმოსავლეთით, ცოტა მოშორებით სდგას ორ სართულიანი მშვენიერი მოწითანო თლილის ქვისაგან აგებული შენობა. ეს ბერების სენაკებია თურმე. თითო ბერს აქვს ორი ოთახი და სამზარეულო. თითო ბინას საკუთარი რკინის მოაჯირი აქვს. ეს სახლი გარეგნობით სასახლეს უფრო მოგაგონებს, ვიდრე დაბალ-მოღვაწე ბერების სენაკს.

როგორც წინადაც მოვიხსენეთ, ეჩმიაძინის მონასტერს ირგვლივ საერთო გალავანი აქვს. შიგნით კი იყოფა ქვიტკირის გალავნით რამდენსამე ეზოდ. სხვათა შორის ტაძრის აღმოსავლეთით, ბერების სადგომის იქით არის გალავანი და ფართო ალაყაფის კარები, რომელსაც აკადემიის ეზო აკრავს. აკადემიის ეზო საკმაოდ დიდია. რამდენიმე დღიურის იქნება. გზის ახლო გაშენებულია მთავარი შენობა, მთავარი შენობის ახლო-მახლო მოთავსებულია სხვა შენობანი. მთავარ შენობის უკან კი ბაღია გაშენებული.

ჩვენ ტაძრიდან ბაღში მოვხვდით. ბაღს საკმაო ადგილი უჭირავს, თუმცა მოუწესრიგებელია. არის ხეხილიც, ყვავილებიც, მაგრამ თავმინებებულს უფრო ჰგავს, ვიდრე მოზარდ თაობის გასართობად და დასასვენებლად გაკეთებულ წალკოტს.

მიუხედავად დღესასწაულისა რამდენიმე ყმაწვილი სკამზე იჯდა ხეებ ქვეშ, წიგნები გაეშალათ და გულმოდგინედ კითხულობდნენ. ჩვენც პირველ შეხვედრილ ორს ჭაბუკს მივუახლოვდით და მივესალმეთ. ისინი საჩქაროდ ფეხზე წამოხტნენ და სიამოვნებით გამოგველაპარაკნენ. რუსულად გვარიანად კარგა ლაპარაკობდნენ, თუმცა წამ და უწუმ ბოდიშს იხდიდნენ, პრაქტიკა არა გვაქვს და კარგად ვერ ვახერხებთ რუსულ ლაპარაკსაო. ჩემდა სასირცხვილოდ, მეც არ შემეძლო სომხურად დალაპარაკება. რამდენჯერ მოვიწადინე შემესწავლა ცოტა მაინც სომხური, მაგრამ ცხოვრების ულმობელმა პირობებმა და დღე და ღამ ლუკმა პურისთვის სირბილმა ყოველთვის ხელი შემიშალა. ბევრი რამ სხვა და სხვა წარწერა ვნახე, მწყუროდა წამეკითხა მაინც, მაგრამ საუბედუროდ, ამ შემთხვევაშიაც ბრმა ვიყავი.

ჩვენ მიერ ახალ გაცნობილები ორივენი ოსმალეთიდან იყვნენ. შეიტყეს თუ არა ჩვენი სურვილი, რომ აკადემიის დათვალიერება გვსურდა, ორთავემ საჩქაროდ წიგნები დაკეცეს და წინ გაგვიძღვნენ.

ჯერ შეგვიყვანეს მთავარ შენობაში. მთავარი შენობა გრძელი, ორ სართულიანი სახლია. წინა და უკანა პირი თითქმის ერთნაირი აქვს. შუაგულ გუმბათია ამოყვანილი, სადაც საკუტო დარბაზია მოთავსებული. მთელი შენობის გასწრივ შუაზე დერეფანი მიდის, როგორც ქვემო, ისე ზემო სართულში და იქით-აქეთ ოთახებია გამართული. სწორედ რომ ვთქვათ, ეჩმიაძინის აკადემია მარტო აკადემია როდია. აქ შეერთებულია ერთად სემინარია და აკადემია. სულ ცხრა კლასია. ექვსი სემინარიული და სამი სპეციალური აკადემიური. ჩვენი ჩიჩერონეები ერთი მეხუთე კლასელი იყო, ხოლო მეორე მეექვსელი. ქვედა სართულის ერთ ნახევარში საკლასო ოთახებია მოთავსებული. აქ არის პირველი ოთხი კლასი. ოთახები საშუალოა, თითქმის პატარა ზომისაა, საკმაოდ ნათელი. ორ სამოსწავლო მაგიდაზე თითო ასაწევ-დასაწევი ელექტრონის ბურთი მოდის. თვით მაგიდები კი ძველი და დაფხაჭნილია. სურათები, თუ რამე სამოსწავლო სახელმძღვანელოები, ნაკლებად შევამჩნიე. აქა-იქ ჰკიდია გეოგრაფიული რუკა, ზოგი ფრანგული და ზოგიც რუსული, უშნო ძველი გამოცემა. სომხური რუკა ხელით დახატული მაინც ვერა ვნახე. შეკითხვაზე, არა გვაქვსო, მიპასუხეს.

ქვედა სართულშივეა მოთავსებული საწოლი ოთახები. კროვატები რკინისაა, მაგრამ ადამის დროისა. გამახსენდა ჩვენი სემინარია და იქაური კროვატები. ლოგინი საკმაოდ სუფთაა.

როგორც მოვიხსენეთ, ეჩმიაძინი საერთოდ ნესტიანი ადგილია და ვერ გამიგია საწოლი ოთახები ამ ძირს რად მოუთავსებიათ, სადაც სინესტის სუნი საგრძნობელია. წინად სინესტეს სიცივეც ზედ ერთობოდა თურმე უხეირო ბუხრების გამო. ამ ბოლო წლებში მშვენიერი „კაფელი“-ს ფეჩები დაუდგამთ და სინესტის ძალა ამით მაინც რამდენადმე დაუცხრავთ.

საძილო ოთახების გვერდით პირსაბანია მოთავსებული. ეს კი, ცოდვა გამომჟღავნებული სჯობს, ძლიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული. მილიდან წყლის ნაჟურს კედელი ისე დაუსველებია, რომ სოკო მოჰკიდებია. ცემენტის იატაკი ჩანგრეულია. სიფრთხილეა საჭირო, რომ კაცმა ფეხი არ მოიტეხოს. როგორი სინესტის სუნი უნდა იყოს იქ, მკითხველმა თითონ გასაჯოს...

ზემო სართულში მოთავსებულია სემინარიის უფროსი და საეკლესიო კლასები. საკადემიო კლასები პატარ პატარა ოთახებშია მოქცეული. იქ სულ რამდენიმე სამოსწავლო მაგიდა სდგას ძველი და დაფხაჭნილი. აქვეა ბიბლიოთეკა. წიგნები უფრო სომხურია. მითხრეს—რუსული, გერმანული და ფრანგულიცაა გვაქვსო. ბიბლიოთეკას საკმაო დიდი ოთახი უჭირავს და კაი ბლომა წიგნებიცაა იქ, მაგრამ ვფიქრობ, რომ აკადემიისთვის ცოტაა. ტფილისის სემინარიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ორჯერ მეტი წიგნია. დიდი-დიდი ტომები და ფოლიანტები ვერსად შევამჩნიე მაგრამ რაც არის, სუფთად და ლამაზად აქვთ შენახული და, რაც უმთავრესია, წიგნებით სარგებლობა გაადვილებულია. იქვე მოუწყვიათ მაგიდები, საწერ-კალა-

ხშირ მუჯლუგუნებს გაწვიმებს, რომელთაც პოლიციის უწყებაში ზრდილობიანად ეძახიან шейные выговоры и замѣчанія по скулѣ". ქართულად: კისრით გაკიცხვა და შენიშვნა ყურის ძირებში.

განა შეიძლება ადამიანობა და არა ერთგული ქვეშევრდომობა იქ, სადაც კაცს ყოველ მხრივ პოლიციის მოხელეები ახვევია? განა საკვირველია, რომ სახელმწიფო წყობილების ხანგრძლივის ბატონობის შემდეგ გაჩნდა ისეთი მოძღვრება, რომელიც ადამიანის პიროვნებას უარ-ჰყოფს? თქვენ გან არ მიკვირს. საუკუნოების განმავლობაში პოლიციის მაგარ-მაგარ მუჯლუგუნებით გათელილმა ადამიანის ტყავმა როგორ უნდა შეინარჩუნოს პიროვნული გრძნობა და ადამიანური ღირსება.

**ი. ნაკაშიძე.**

# მოწერილი ამბები

**დ. სამტრედია.** 21 ივნისს დ. სამტრედიის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებამ „ედემის" ბაღში გამართა სეირნობა ლატარიისთვის სასარგებლოდ. მეტის მეტად ლამაზად იყო მოწყობილი ბაღი „ედემი". ეს ბაღი მდებარეობს ბაზრიდან ერთი ვერსის მანძილზე შიგ სოფელში. თვით ბაღის მოწყობილება მშვენიერია: ხის ტოტებისაგან დახურული ხეივნები, ქოხებად მორთული ფარდულები, წვრილი ბილიკები მეტად სასიამოვნო სასეირნო ადგილად ხდის ბაღს. ამას მიუმატეთ ის მოწყობილობა, რომელიც სეირნობის მომწყობთ გაემართათ, მაგალითად უზარმაზარი საუცხოოდ მორთული თაღი ბაღში შესასვლელ კარებთან, ყვავილთა ხვეულები, ბაირაღებით და ფერად ფარნებით მოწყობილი ხეივნები, ექვსი დიდი გაზის ფარანი და სხვა. ბევრმა გარემოებამ შეუშალა ხელი სეირნობის მომწყობთ, მაგრამ ეს პირველი ცდა დ. სამტრედიაში მაინც დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა. აუარებელი ხალხი მოაწყდა და უფრო მეტი მოვიდოდა, რომ დილიდან წვიმის არ შეეშალა ხელი.

სწორედ 12 საათზე უნდა დაწყებულიყო ბავშვების მსვლელობა და სწორედ ამ დროს ძლიერი შხაპუნა წვიმა წამოვიდა. როგორც იქმნა, პირველ საათიდან გადაიდარა და შემდეგ მშვენიერი დარი დადგა. ნაშუადღევის ორ საათზე რკინის გზის თეატრიდან „ედემის" ბაღისკენ გაემართა ბავშვების პროცესსია. საუცხოოდ მოწყობილ ჯორის ურემში იჯდა ორი პატარა ვაჟი და ქალი, მეფე დედოფალი. წინ მიდიოდა კარიკატურულად გამოწყობილი 30 ბავშვამდე ბაირაღებით ხელში. ამ პროცესსიას მიუძღოდა მუსიკა. პროცესსიამ გაიარა მთელი ბაზარი და 2½ საათს ბაღში შევიდა. ბავშვების მოსვლამ გაამხიარულა ბაღი და აქედან დაწყობილი მხიარულება თითქმის არ შეწყვეტილა ღამის 3 საათამდე. ბაღში უკრავდა ბალალაიკა-მანდოლინისტების გუნდი, ორკესტრი და ორი ზურნა. მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მომწყობნი,

როგორც გავიგე შემოსავალი სულ 644 მანეთამდე ყოფილა. ხარჯი ნახევარი იქნება.

**კრუხი.**

---

**კასპი** (ქართლი). 27 თიბათვეს სოფელ კასპში, ცხენების ბანაობის დროს, დამხრჩვალა 16—17 წლის პეტრე ჭელიძის შვილი. მას გამოჰყოლიან კასპიდან საძებნელად სხვათა შორის სანდრო როაშვილი და ისაკ გოაშვილი. როდესაც მიუახლოვდნენ 250 ვერსის რაზიეზდს, ნავის ზემოდ, მორევს, სიღრმით თითქმის ოთხს საჟენს, შესტოპეს და დაპირეს მეორე ნაპირზე გასვლა. ამ დროს მეორე ნაპირზე იყვნენ კავთის ხეველები და ორი ტფილისიდან მოსული—სერგო დარიბაშვილი და დათა ჩუბინიშვილი. ყვირილით და ხელის ქნევით ანიშნებდნენ, რომ უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ისინი მაინც შეუშოვრად ცხენებით შევიდნენ შუაში. ცხენებს თითქმის თავებზე შეასხდნენ, ასე რომ ცხენებიც იხრჩობოდნენ და პატრონებიც. მათ შეეშველნენ სერგო დარიბაშვილი და დათიკო ჩუბინიშვილი და გადაარჩინეს. მხოლოდ ერთი ცხენი დამხრჩვალი გამოათრიეს. დამხრჩვალის გვამი იპოვნეს სოფელ ქვემო-ხანდაკთან 1 მკათათვეს.

**ს. ლ.**

---

**ფოთი.** ამას წინად ვწერდი, რომ დიდი საჭიროებაა თეატრისა მეთქი. ამ რამდენიმე ხნის წინად შესდგა დრამატიული საზოგადოება. საზოგადოებაში ჩაეწერა ასზე მეტი წევრი და ამ მოკლე დროში აპირებენ სცენულ წარმოდგენის გამართვას. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი, რომელნიც საკმაოდ ჩაეწერნენ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად. საზოგადოებას წარმოდგენის მოსაგვარებლად დროებით მოუწვევია ქუთათური მსახიობი ყაზბეგიშვილი. მომავლისათვის კი საზოგადოება ეცდება გამოცდილ მსახიობის მოწვევას რეჟისორად, რომელსაც დაენიშნება თვიური ჯამაგირი. ამ საზოგადოების დაარსება პლიუსად უნდა ჩაეთვალოს ფოთის ინტელიგენციის ნაწილს. იმედია, იგივე ინტელიგენცია ეცდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების დაარსებას და სახალხო უნივერსიტეტის მოწყობას.

---

23 ივნისს ადგილობრივ კლუბის დარბაზში ქუთათურ მსახიობების ქ-ნ ურბნელის და ბ-ნ ზარდალიშვილის მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა. ითამაშეს აკაკი წერეთლის კომედია „კინტო". წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხალხი აღტაცებაში მოიყვანა ქ-ნ ურბნელის („კინტო") მოხდენილმა თამაშმა.

ამ მოკლე დროში ქალაქის მცხოვრებნი აპირებენ სადილის გამართვას ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძის პატივსაცემად. სადილის დროსვე სურთ მიართვან საჩუქრად გულზე დასაკიდებელი ვერცხლის ჯაჭვი. არჩეულია კომისია, რომელიც შეუდგება საქმის მოწყობას.

**ლ. გ—რი.**

# ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

გუშინ რედაქციამ მიიღო კიდევ შემდეგი დეპეშა და წერილები ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო:

**ლანჩხუთიდან:** ლანჩხუთის ინტელიგენციის და გლეხობის ერთი ჯგუფი უზომო მწუხარებას აცხადებს საზოგადო მოღვაწის და ამხანაგის ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. ლანჩხუთელი ამხანაგები.

**ქუთაისიდან.** დიდად ამაღელვა და შემაწუხა ძვირფას ამხანაგის გარდაცვალების ამბავმა. გრ. ნათაძე.

**პარიზიდან:** ვუერთებ ჩემს დიდს მწუხარებას ამხანაგთა საერთო გლოვას ძვირფას ვოლოდიას დაკარგვის გამო. ალ. გაბუნია.

**ხონი.** დიდად შეგვაწუხა ვლადიმერ ლორთქიფანიძის გარდაცვალებამ. მისი დაკარგვით თანამოაზრე-ამხანაგთა წრეს ერთი საუკეთესო მოქმედი ადამიანი დააკლდა. ვგლოვობთ უდროოდ დაკარგულს ამხანაგს. უსაზღვროა ჩვენი მწუხარება. ლორთქიფანიძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება იმათ გულში, ვინც თანაუგრძნობდა ლადოს და მის იდეალების განხორციელების საქმეს ემსახურებოდა.

ხონელი ამხანაგები.

# კრიტოსის საქმე

**ხილმი-ფაშას ნათქვამი.**

„კასპი"-ს ატყობინებენ ვენიდან: ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ხილმი-ფაშამ შეატყობინა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს: კრიტოსის საქმე ეხლა ამ ჟამად იმნაირად დატრიალდა, რომ ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის თითქმის აუცილებელი გახდებაო.

**ჯარის გაგზავნა საბერძნეთის საზღვარზე.**

უსკუბიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთმა კიდევ 200 ცხენოსანი ჯარის კაცი გაგზავნა საბერძნეთის საზღვარზეო.

**ოსმალეთის მთავრობის სურვილი.**

ოსმალეთის მთავრობამ გამოუცხადა მფარველ სახელმწიფოებს, რომ კრიტეს ნაპირებთან იგიც გაჰგზავნის სადარაჯოდ ერთ თავის გემსო, მაგრამ სახელმწიფოებმა უარი უთხრეს ამაზე ასე რომ კუნძულ კრიტეს ნაპირებთან იდგებიან მხოლოდ მფარველ სახელმწიფოების სამხედრო გემები.

**კრიტეს მთავრობის გადაწყვეტილება.**

კუნძულ კრიტეს დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა, 31 ივლისამდე მოიწვიოს კრიტეს პარლამენტი იმ აზრით, რომ ეროვნულ კრების ასარჩევად ვადა დაანიშნინოს. მთავრობა აცხადებს, რომ იგი უზრუნველჰყოფს ყველა კრიტელთა უშიშროებას,

**ბერძნების და ოსმალების შეტაკება.**

ქალ. მონასტირს ახლო, მაკედონიაში, ოსმალებს შეტაკება მიუვიდათ ბერძნებთან. მოკლულია 2 ოსმალელი აფიცერი და ოთხი ბერძენი.

# რუსეთი

✦ **ჯაშუშები.** „ბაკუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქ კრონშტადტში პოლიციამ შენიშნა, რომ უცხოელი ფოტოგრაფები კრონშტადტის სიმაგრეებს იღებდნენ.

✦ **ბურცევი.** „ბილოეს" რედაქტორს ბურცევს საფრანგეთის იუსტიციის მინისტრისთვის განცხადება მიუცია. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის საზღვარგარეთის საიდუმლო პოლიციას პარიზში „შავი კაბინეტი" აქვსო.

✦ **მდინარე აქსაის და დონის როსტოვის შეერთება.** რუსეთის გაზეთების სიტყვით უკვე შესდგომიან მდინარე აქსაის და დონის შეერთებას. ამ მდინარეებს არხით შეაერთებენ. არხის გაყვანის შემდეგ დონის-როსტოვამდის გემები ივლიან.

✦ **ახალი ცირკულიარი.** „კასპის" სიტყვით პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, სინოდი ამ დღეებში შეიმუშავებს ცირკულიარს, რომლითაც სამღვდელო პირებს აეკრძალებათ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში" მუშაობა.

✦ **გაჩხრეკა.** „რეჩი" იუწყება, რომ ამ დღეებში ვარშავაში თავად სვიატოპოლკ-მირსკის სახლში მემამულეების ერთმა ჯგუფმა და პოლონურ დემოკრატიულ პარტიის წევრებმა კრება გამართეს. კრებას უნდა განეხილა ხოლმის საკითხი. კრებაზე პოლიცია გაჩნდა, რომელმაც სვიატოპოლკ-მირსკის სახლი გაჩხრიკა და ჩასწერა დამსწრეების გვარები. მეორე დღეს გაჩხრიკეს იმათი სახლები, ვინც მონაწილეობას იღებდა.

✦ **იუსკევიჩ-კრასოვსკი.** როგორც ვიცით პოლიციამ დააპატიმრა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ერთი მეთაურთაგანი— იუსკევიჩ-კრასოვსკი, რომელსაც გერცენშტეინის მკვლელობა ბრალდება. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით იუსკევიჩ-კრასოვსკის ყოველ დღე ართმევენ ჩვენებას. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" შესახებ ბევრი რამ გამორკვეულა. იუსკევიჩ-კრასოვსკის გარდა ჩვენებას ჩამოართმევენ დუბროვინს, ბულაცელს, მაიკოვს და პურიშკევიჩს. „კავშირის" წევრები ძალიან აღელვებულნი არიან თურმე. მათ გადუწყვეტიათ იშუამდგომლონ იუსტიციის მინისტრთან, რომ იუსკევიჩ-კრასოვსკი თავდებით იქმნეს განთავისუფლებული. თუ აქ ვერას გახდნენ, მაშინ პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს მიმართავენ.

✦ **კომერციულ სასამართლოების გაუქმება.** „ბაკუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: იუსტიციის მინისტრს განზრახული აქვს, გააუქმოს კომერციული სასამართლოები.

✦ **საკატორგო სატუსაღოების რევიზია.** ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ საკატორგო სატუსაღოებს.

✦ **იაპონური და ჩინური ენები ჯარში.** სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა ბრძანება გამოსცა, შორეულ აღმოსავლეთის ჯარისკაცებს ჩინური და იაპონური ენები შეასწავლეთო.

✦ **მინისტრი ტიმირიაზევი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმირიაზევი ამ წლის გასულს თავს დაანებებს თავის თანამდებობას. მას ელჩობას მისცემენ. მის ადგილზე დაინიშნება მილლერი.

✦ **„შავი სიები".** „შავი სიები" მრეწველების ხელში ერთი საშინელი იარაღია, რომლითაც ეს უკანასკნელნი მუშებს ებრძვიან. რომელი მუშაც ამ სიაში მოხვდება, ის ვეღარსად ვერ იშოვნის სამუშაოს. პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციას ხელში ჩაუგდია ერთი „შავი სია". ამ „სიას" პეტერბურგის მექარხნეთა კავშირი სხვა და სხვა ადგილებში გზავნიდა თურმე. როგორც ამ სიიდან სჩანს, ასეთ სიებს პეტერბურგის მექარხნეთა კავშირი დროგამოშვებით უგზავნის მექარხნეებს. ამ სიას შემდეგი წარწერა აქვს: „უქმდება წინეთ გამოგზავნილი სია". პეტერბურგში აუარებელი მუშა დაიარება უსაქმოდ, აქედან უმეტესი ნაწილი 1905 წლიდან ეძებს სამუშაოს და აქამდის არსად არ იღებენ. ამ მოვლენას მუშათა პროფესიონალური კავშირები „შავ სიების" გავლენას აწერენ. პეტერბურგის მექარხნეთა კავშირის „შავ სიაში" 700 მუშაა მოხსენებული!!!

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი".** რუსეთის გაზეთების სიტყვით უმაღლესი წრეები ამ უკანასკნელ დროს ძალიან ეჭვის თვალით უცქერიან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს". უმაღლეს წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ უნდა მოისპოს ეს „კავშირიო".

✦ **სარატოვის უნივერსიტეტი.** „კას." პეტერბურგიდან ატყობინებენ: ამ მოკლე ხანში გაიხსნება სარატოვის უნივერსიტეტი. რექტორად ნიშნავენ ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორს, რაზუმოვსკის.

---

მი, ქაღალდი, ელექტრონი. როცა გინდა შედი, რომელი გინდა წიგნი აიღე, იკითხე, ამოსწერე, იმეცადინე. მიუხედავად აღდგომა დღისა, რამდენიმე სტუდენტი წიგნებით გარშემოხორგული ცხარედ მუშაობდა. ძალა უნებურად გამახსენდა ჩვენი სემინარიის ბიბლიოთეკა. ახლა არ ვიცი რა ამბებია და ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ველური წეს-რიგი იყო. წიგნები, როგორც ვთქვით ბლომად იყო, მაგრამ რათ გინდა... მელისა და ყურძნისა არ იყოს, თვალი ჰხედავდა, მაგრამ კბილებში კი არა ვარდებოდა რა. ბიბლიოთეკა ებარა ერთ დამთხეულ მასწავლებელს, რომელიც ბიბლიოთეკას აღებდა მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შუა, ხუთი წუთით. ამ ხუთ წუთში ვინ რას მოასწრობდა, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც ბიბლიოთეკის გამგე მთვრალი დედმამას იგინებოდა და რამე საინტერესო წიგნს არც კი მოგცემდა. მახსოვს, მეხუთე კლასში ვაყავი, უკვე დაწვერ-ულვაშებული, ტოლსტოის „ვოინა და მირი"-ს წაკითხვა განვიზრახე. ჯერ ორი თვე უდარაჯე, სანამ ბიბლიოთეკას ღიას ვნახავდი. როგორც იყო, მოვესწარ ბიბლიოთეკის გაღებას. მივედი. არა თუ წიგნი არ მომცა, საშინლად გამიჯავრდა. განვიზრახე უფროსისთვის მიმემართნა! იმასაც ერთი თვე ვდიე, სანამ მოსალაპარაკებლად ვნახავდი, მერე ისევ ბიბლიოთეკის გამგეს; ამასობაში გამოცდამ მოაღწია და „ვოინა და მირზე" ვინ მოგაცლევინებდა. ამ მხრივ ქების მეტი არა ეთქმის რა ეჩმიაძინის აკადემიის ხელმძღვანელთ.

ვნახე სააქტო დარბაზიც. როგორც უკვე მოვიხსენე, სააქტო დარბაზი შენობის შუაგულ ამართულ გუმბათშია მოთავსებული. დარბაზი წრესავით მრგვალია. დიდი არ არის. შესავალ კარების პირდაპირ მეორე კედელთან სავარძელია კათალიკოსისათვის, შუა კათედრა რეფერატის ან სხვა რისამე საკითხავად. ოთხ წყებად კედლიდან შუაგულისკენ სამოსწავლო მაგიდის მსგავსი სკამებია, დადგმული, ისე კი, რომ სიგრძე სკამებისა თან და თან პატარავდება, ასე რომ წინა სკამზე მხოლოდ ორი კაცი დაეტევა, როცა სულ უკანაზე ექვსიც მოთავსდება. შუაში კი კათედრის ირგვლივ თავისუფალი ადგილია

დარბაზის კედლებს რამდენიმე კარგი სურათი ამშვენებს, სხვათა შორის აკადემიის დამაარსებლის გეორგ კათალიკოსისა და ამას წინად გარდაცვლილის მკირტიჩ პირველისა. საზოგადოდ, კედლები სულ აჭრელებულია მოსწავლეთა ნახატებით. რა გინდა, აქ არ იყოს: უბრალო გიპსებიდან დაწყებული პეიზაჟებამდე. არის ნახატები კარანდაშით, წამლით, მელნით.

**უიარაღო**

# განცხადებანი


**ბალი-რესტორანი**

◀ ამხანაგობის ▶

**„იშუანე"-ში**

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბალში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაყ.—22)

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
[illegible]

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—121)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—6.—81)

**კანტორა და საწყობი „სპერმატინისა" და „ალმეზისა"**

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—9) **ი. ახობაძე.**

ამხ. „სორაპნის" გამოცემა

◀ **„ახალი ჩანგი"** ▶

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განმრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად ვცანით. ამიტომ „ახალი ჩანგი" გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვინეტკა განგებ „ახალი ჩანგისათვის" ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კაპ., **ვისაც 25 კაპეიკი გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კაპ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კაპ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის" კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კაპ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველად შემოტანილი ფული 25 კაპ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მას თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი" დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის" კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოვარაყებულის წარწერებით. ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კაპ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კაპ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს სულ 50 კაპ.

«ახალი ჩანგი» ცალკე გასასყიდადაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კაპ.
ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს».
ფოსტის ადრესი: Тифлисъ т-во „Сорапанъ" М. Гачечиладзе. (7—6.—6)

**მომავალი 1910 წლის კედლის კალენდარი „განთიადი"**

**ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდად**

კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო 40 კაპ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.

რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბედ რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.
ადრესი: ტფილისი, რუსის ქუჩა, N 3. სტამბა „სინათლე", კედლის კალენდარის „განთიადისთვის".

**თიბათვე (30 დღე)—ივანობისთვე**

მზე: ამოდის 4 საათ. 20 წთ. ჩადის 7 საათ. 35 წთ.

**8**

მთვარე: დილის 0 ს. 5 წთ. სრულდება 14 დღისა.

**ახალი სტილით 21**

160 დღე წლის თავიდან. რჩება 206 დღე წლის დამლევამდე

**სამშაბათი**

**მართლ-მად.** წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა.
**კათოლიკეთა.** წმ. კირილე ალექსანდრიელისა.
**გრიგორ.** მარხვა. მეფე კონსტანტინე და ელენესი.

უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) სამშაბათი, 29 ივნისი.

● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●

ქუთაისში გარდაიცვალა ალექსანდრე წულუკიძე 1905 წ.
რუსეთმა საფრანგეთთან ვაჭრობის კავშირი შეჰკრა 1717 წ.

**ალექსანდრე წულუკიძე**

8 ივნისს შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც ჭლექის ავადმყოფობით გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზდა ალექსანდრე წულუკიძე. ალექსანდრე დაიბადა 1876 წლის 1-ლ აგვისტოს დაბა ხონში. თუმცა სამა მდიდარ თავადის შვილის ოჯახში დაიბადა და ფუფუნებაშიაც იზრდებოდა, მაგრამ დუხჭირმა ცხოვრებამ ისრე გარდაქმნა, რომ ჩქარა მიეკედლა და შეუერთა თავისი გული ჩაგრულ კლასთა გულს. იგი 1896 წელს ჯერ ქუთაისში და შემდეგ ტფილისში გაეცნო ცხოვრებაში ახალ გამოსულ ჯგუფს, რომლის იდეალებმა მალე გაიტაცეს მისი გონება, და ამ დღიდან დაადგა იმ მიმართულებას, რომლის სამსახურსაც შეალია თავის ჯერ ისევ ახალგაზდა სიცოცხლე.

ალექსანდრე ცნობილია ქართულს მწერლობაში და მუდმივი თანამშრომელი იყო „კვალის" და „მოგზაურის". სხვათა შორის, საპატიო ადგილი უჭირავს მის წიგნს „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან", რომელიც სახელმძღვანელოდ დარჩა დაჩაგრულ კლასებსა. სამა წულუკიძე 29 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა ქ. ქუთაისში და იქიდან მრავალის ხალხის თანადასწრებით წაასვენეს დ. ხონში დასაკრძალავად.

**დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი**

როგორც ჩალურს უფრო მალე სწვავს ხოლმე ცეცხლი, ვიდრე სასახლეს, ისე თავმოყვარეობა უფრო ადვილად იპყრობს ხუსტს, ვიდრე მრიელს.

ქალი ემგზავსება საათს, რადგან შემდეგ ოცდახუთის წლისა ის ყველაფერს უკან რჩება.